საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 257

2025 წლის 31 იანვარი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2025 წლის 30 იანვრის N-MES 9 25 0000084069 კორესპონდენციის გათვალისწინებით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 90-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარაში სპორტული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ცნობილი სპორტული ჟურნალისტის, კომენტატორის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საიუბილეო მედლის მფლობელის, წლის საუკეთესო ჟურნალისტად მრავალჯერ აღიარებული, საპატიო ბათუმელის - გიორგი მურვანიძის დაკრძალვის ხარჯების დასაფარავად, ოჯახისათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყოს 5 000 (ხუთი ათასი) ლარი და მატერიალური დახმარების სახით გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ჯ. ფუტკარაძე) მოახდინოს შესაბამისი მიზნობრივი დაფინანსება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (მ. ხაჯიშვილი) უზრუნველყოს ბრძანებით გამოყოფილი თანხის მიზნობრივი განკარგვა.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

თორნიკე რიჟვაძე

1201-02-2-202502061550
https://edocument.ge/AdjaraGov/public